მშვიდობიანი მატჩი

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 2 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) 1:1 (0:1).

თბილისი: იმნაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე (ხიზანიშვილი), ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ესებუა, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

მოსკოვი: გონტარი, ბუბნოვი, ნიკულინი, ნოვიკოვი, გავრილოვი, პეტრუშინი, იაკუბიკი, მახოვიკოვი, გერშკოვიჩი (პავლენკო), შეპელი, ევრიუჟიხინი.

მსაჯი: ა. ბალაიანი (ბაქო).

დუბლიორები – 0:1.

ჩემპიონატის ამ ბოლო მატჩს თბილისში, თუ გადავხედავთ გათამაშების ცხრილში შექმნილ ვითარებას, საგანგებო ინტერესი უნდა გამოეწვია მაყურებელთა შორის. თვითონ განსაჯეთ: მოსკოვის “დინამო” ახლა ფავორიტია. მან მეორე წრეში ყველაზე მეტი ქულა (19) დააგროვა, ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ ერთი დაამთავრა ფრედ და, საერთოდ, საუკეთესო ფორმაშია.

თბილისელებმა ასევე გამოასწორეს მდგომარეობა სეზონის დამლევს და ტრადიციულ მეტოქეთა მატჩი ყველა დაწერილი თუ დაუწერელი კანონის მიხედვით სეზონის ფინიშის მშვენებად უნდა ქცეულიყო, მით უმეტეს, რომ მოსკოვის “დინამოს” კიდევ ჰქონდა თეორიული შანსი, დასწეოდა ლიდერს – კიეველთა გუნდს.

მაგრამ მინდორზე მსგავსი არაფერი მომხდარა. მცირერიცხოვანი მაყურებლები, რომლებიც სტადიონზე მოვიდნენ ამ უამინდო დღეს, მოწყენით უყურებდნენ, როგორ ტრიალებდა ბურთი შუა მინდორში, როგორ იოლად უთმობდნენ ერთმანეთს ბრძოლას მეტოქეები, უშვებდნენ უამრავ შეცდომას, ხოლო მატჩის დასასრულს თამაშმა საერთოდ დაკარგა ყოველგვარი სანახაობრივი მიმზიდველობა და ინტერესი. ყველა, მათ შორის მსაჯიც, მხოლოდ იმას ელოდა, როდის მოთავდებოდა, ეს 90–წუთიანი ფორმალობა.

ამიტომ ჩვენც აღარ შევუდგებით მატჩის აღწერას და გარჩევას, ანგარიში 27–ე წუთზე გახსნა გერშკოვიჩმა გავრილოვის გადაცემით, ხოლო შესვენების შემდეგ, 59–ე წუთზე, გუცაევმა გარღვევაზე გაიყვანა მაჩაიძე და ანგარიში გათანაბრდა.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 4 ნოემბერი, 1975 წ.